



ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნები	2024	2023	2022
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები		1,531,442	1,161,582	1,008,916
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	206,380	126,457	185,346
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	1,256,965	1,346,412	1,400,350
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10	12,716	6,459	2,800
		3,007,503	2,640,910	2,597,412
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	442,433	462,154	314,885
არამატერიალური აქტივები	12	1,569	1,765	1,961
ბიოლოგიური აქტივები	13	2,345	2,639	2,933
		446,347	466,558	319,778
სულ აქტივები		3,453,850	3,107,468	2,917,190
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	14	75,138	88,371	52,531
სავაჭრო ვალდებულებები		424,263	385,806	497,378
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				226
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება				14,370
სხვა ვალდებულებები	15	53,446	15,226	247,200
სულ ვალდებულებები		552,847	489,403	811,706
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	543	543	543
გაუნაწილებელი მოგება		2,900,460	2,617,522	2,104,941
		2,901,003	2,618,065	2,105,484
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,453,850	3,107,468	2,917,190

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 1 აპრილი



მირკო ლაშვაშვილი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	3	2,943,425	2,785,461
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		(1,739,828)	(1,544,810)
საერთო მოგება		1,203,597	1,240,651
სხვა შემოსავალი	4	12,713	128,915
დასაქმებულთა ანაზღაურება		(441,578)	(507,402)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(36,783)	(34,280)
იჯარის ხარჯი		(134,342)	(124,526)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(131,002)	(180,861)
სხვა ხარჯები	6	(18,122)	(11,902)
მოგება დაბეგვრამდე		454,483	510,595
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(11,229)	(435)
მიმდინარე წლის მოგება		443,254	510,160
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		2,615,101	2,104,941
გაცემული დივიდენდი		(157,895)	0
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		2,900,460	2,615,101

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება


საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი	543	2,615,101	2,615,644
წლის შედეგი		454,483	454,483
გაცემული დივიდენდი	(157,895)		157,895
გადახდილი მოგების გადასახადი	(11,229)		(11,229)
2024 წლის 31 დეკემბერი			2,901,003

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 1 აპრილი



მირკო ლაშვაშვილი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული საანგარიშო წლისთვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება CHEMICALS COATING TRADING (შემდგომში "კომპანია") რეგისტრირებულია 2012 წელს საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 406061416; კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. რუსთავი, მაზნიაშვილის ქუჩა 2.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ლაქ-საღებავების იმპორტი, წარმოება და რეალიზაცია. კომპანიის 100 % -ანი წილის მფლობელი არის მირკო ლანფრანკო მილანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის განვითარების გეგმის შესაბამისად, შემდგომი განვითარების გეგმა ითვალისწინებს, რომ არსებული რესურსების პირობებში კომპანიას უნარი აქვს უწყვეტად განახორციელოს საოპერაციო საქმიანობა მომავალშიც.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.


არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც შეადგენს 15 წელს.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 1 აპრილი



მირკო ლანფრანკო მილანი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

ბიოლოგიური აქტივი

ბიოლოგიურ აქტივს წარმოადგენს კომპანიის უსაფრთხოებისათვის შემენილი ძალები, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მასზე გაწეული ხარჯები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად და ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ხლშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყენებელივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

3. ამონაგები

	2024წ.	2023წ.
საქონლის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე	1,708,429	1,637,204
ექსპორტი	1,234,996	1,148,257
	2,943,425	2,785,461

4. სხვა შემოსავალი


სხვა შემოსავალი მოიცავს კურსთაშორის სხვაობით მიღებულ შემოსავლებსა და სხვა არასაოპერაციო შემოსავლებს.

	2024წ.	2023წ.
უკან დაბრუნებული საქონელი		56,438
საკურსო სხვაობა		17,030
ინვენტარიზაციის შედაგად გამოვლენილი ზედმეტობა	2,163	1,105
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	9,885	16,146
ზარალის ანაზღაურება	665	17,555
ვალდებულებების გადაფასებით მიღებული შემოსავალი		20,641
	12,713	128,915

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 1 აპრილი



მირკო ლაშვრანკო მილანაძე
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024წ.	2023წ.
ბიოლოგიური აქტივზე გაწეული ხარჯი	3,956	3,957
დაზღვევა	4,566	7,255
კომუნალური ხარჯები	17,615	33,315
მიწოდების ხარჯი	2,056	1,739
საოფისე ხარჯი	2,500	7,535
სამეურნეო ხარჯი	2,246	8,575
საწარმოო ხარჯი	309	1,000
საწვავის ხარჯი	7,824	11,826
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	41,094	31,345
ძირითადი საშუალებების და სხვადასხვა ინვენტარის რემონტი	4,273	9,515
სარეკლამო ხარჯი	-	1,100
ექსპორტის ხარჯი	2,133	12,074
სოციალური დანარიცხები	8,153	9,236
ქონების გადასახადის ხარჯი	3,974	3,525
მივლინების ხარჯი	8,955	17,490
საწყობის ხარჯი	858	2,269
საფოსტო გზავნილის ხარჯი	329	749
დასუფთავების მოსაკრებელი	2,590	-
ბანკის საკომისიო	2,841	3,156
IT მომსახურება	14,565	13,579
ვაკანსიის განთავსების ხარჯი	110	856
წარმომადგენლობითი ხარჯი	55	765
	131,002	180,861

6. სხვა ხარჯები


სხვა ხარჯები მოიცავს კურსთაშორის სხვაობით წარმოქმნილ ზარალს და სხვა არასაოპერაციო ხარჯებს.

	2024წ.	2023წ.
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	15,229	-
დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი	336	1,440
ჯარიმები და საურავები	645	106
ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი	-	-
შუამავალი ბანკის საკომისიო	-	-
ზარალის ანაზღაურება	-	-
უსასყიდლო მიწოდება	1,912	1,052
არასაოპერაციო ხარჯი	-	6,883
	18,122	9,481

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 1 აპრილი



მირკო ლაშვაშვილი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

7. მოგების გადასახადის ხარჯი

	2024წ.	2023წ.
მიმდინარე გადასახდი	11,229	435

ესტონური მოდელის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, განაწილებული მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

განაწილებული მოგება იყოფა 4 ნაწილად:

1. განაწილებული მოგება.
 2. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის.
 3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა.
 4. საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.
- ანგარიშგებაში მოცემული მოგების გადასახადის ხარჯი მიეკუთვნება პირველ მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული ოპერაციებიდან წარმოქმნილ მოგების გადასახადის ხარჯს.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024წ.	2023წ.
მოთხოვნები მიწოდებდან და მომსახურებიდან	122,231	116,512
გადახდილი ავანსები	84,149	6,780
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		3,166
	206,380	126,457


9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2024წ.	2023წ.
გასაყიდად შეძენილი და წარმოებული საქონელი	630,573	554,949
ნედლეული და მასალები	551,211	722,862
სარეკლამო საქონელი	29,537	26,027
სამეურნეო და სხვა მარაგები	45,644	42,574
	1,256,965	1,346,412

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 1 აპრილი



მირკო ლაშვაშვილი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

10. სხვა მოკლევადიანი აქტივები

სხვა მოკლევადიან აქტივებში მოცემულია ბიუჯეტში ავანსად გადახდილი 12 716 ლარი.


11. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	კომპიუტ ერული ტექნიკა და მოწყობი ლობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტ ო საშუალებები	ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობ ა	სულ
თვითღირებულება							
1 იანვარი, 2024 წ.	271379	67928	107605	64779	18064	89933	619689
შემოსვლა	3658	6634				6281	16573
გასვლა							0
31 დეკემბერი, 2024წ.	275037	74562	107605	64779	18064	96214	636262
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი, 2024 წ.	51948	24455	41408	6508	685	32531	157535
წლიური ცვეთა	16646	3358	7822	3239	903	4326	36294
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი, 2024წ.	68,594	27,813	49,230	9,747	1,588	36,857	193,829
საბალანსო ღირებულება	206,443	46,749	58,375	55,032	16,476	59,357	442433

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 1 აპრილი



მირკო ლაშვაშვილი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

12. არამატერიალური აქტივები

13. ბიოლოგიური აქტივი

საბუღალტრო ბროგრამა

ძალეები

თვითღირებულება

1 იანვარი, 2024 წ.	2,940
შემოსვლა	()
გასვლა	()
31 დეკემბერი, 2024წ.	<u><u>2,940</u></u>

თვითღირებულება

1 იანვარი, 2024 წ.	4,400
შემოსვლა	()
გასვლა	()
31 დეკემბერი, 2024წ.	<u><u>4,400</u></u>

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი, 2024 წ.	1,175
წლიური ამორტიზაცია	196
31 დეკემბერი, 2024წ.	<u><u>1,371</u></u>

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი, 2024 წ.	1,761
წლიური ამორტიზაცია	294
31 დეკემბერი, 2024წ.	<u><u>2,055</u></u>

საბალანსო ღირებულება

<u><u>1,569</u></u>

საბალანსო ღირებულება

<u><u>2,345</u></u>

14. იჯარა

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აქვს აღებული საოფისე და სასაწყობე შენობები და მიმდებარე ტერიტორია. ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 30 სექტემბრამდე. ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული გადასახდელების გადახდა.

15. სხვა ვალდებულება

სხვა ვალდებულებებში წარმოდგენილია მიღებული ავანსები


16. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 1 აპრილი



მირკო ლანფრანკო მილანი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

